InterPressNews 08.09.2020

Dwellers of Pushkini Street of Terjola will have innovated water infrastructure soon

United Water Supply company announced a tender to reveal a company which will rehabilitate old water utilities in Terjola, the company said in a statement to “InterPressNews”. According to them, the application deadline for the tender is September 17. The winning company will have to finish all the work in two months after signing the contract. “Due to old pipes, there is a loss of water on Pushkini Street, which is an obstacle during the water supply process, which is limited to 7-8 hours during a day. Taking into consideration old pipes and water losses, they will be replaced into plastic ones. After the completion of all work, Pushkini Street residents will get improved water infrastructure. The alleged budget of the project is 160 000 GEL,” - is said in a statement, issued by the company.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/617108-terjolashi-pushkinis-kuchis-mosaxleoba-cqlis-ganaxlebuli-inprastrukturit-isargeblebs

რეგიონი 08.09.2020 / 14:19

თერჯოლაში, პუშკინის ქუჩის მოსახლეობა წყლის განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, ქალაქ თერჯოლაში, პუშკინის ქუჩაზე არსებული წყლის ამორტიზებული მილის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის ტენდერი გამოაცხადა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 17 სექტემბრამდე გაგრძელდება. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ თვეში უნდა დაასრულოს.

„პუშკინის ქუჩაზე ამორტიზებული მილის გამო, ხშირია წყლის დანაკარგების და ქსელის დაზიანების შემთხვევები, რაც წყალმომარაგების შეზღუდვას იწვევს. მოსახლეობას წყალი დღის განმავლობაში 7-8 საათით მიეწოდება.

წყლის ხარჯისა და წნევის დანაკარგების გათვალისწინებით ძველი ამორტიზებული მილი სრულიად ახალი, პოლიეთილენის მილით შეიცვლება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, პუშკინის ქუჩის მოსახლეობას წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება. პროქტის სავარაუდო ღირებულება 160 000 ლარზე მეტია“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

NS

გაზიარება 0

InterPressNews 09.09.2020

Telavi - a city where water problem persists for more than 20 years

“The city is in a terrible situation. Because of lack of water, Telavi has become a city full of bottles and small reservoirs”, **-** tells Nino Gogolashvili to Radio Free Europe. She is a member of the civil rights movement. For more than twenty years the city of Telavi gets water for only 2-3 hours a day. Nino lives in the high block of a house, and water to her tap used to come from 6 to 9 AM in the morning in the past. Nino is disturbed that now the water company does not follow even this rule and there is no set shift of water. “There is no certain time for us to know when water will come. We would plan our activities accordingly if we did, which is unimaginable without water. The work done by water utility companies is not effective. They started working before elections, but we do not trust them and do not count on them,” - Nino told the radio. Malkhaz Arudashvili, Telavi resident, also recalls a time 20 years ago. He says that there was a 24-hour water supply in Telavi, but people had other problems. Arudashvili says that all the residents have water reservoirs and it's a usual thing for the city residents.

Source:

https://www.radiotavisupleba.ge/a/30829520.html?fbclid=IwAR1EqUSMjMpKXuanp9XwCbfo_oZZtArcjbE9PKtmQQaysL4t_IPlBBBkonI

თელავი - ქალაქი, სადაც, 20 წელია, სასმელი წყლის პრობლემა ვერ მოგვარდა

„ქალაქი ცხოვრობს ძალიან ცუდ მდგომარეობაში. უწყლობის გამო თელავი გახდა ავზების და ბოთლების ქალაქი“, - ეუბნება რადიო თავისუფლებას ნინო გოგოლაშვილი, საშოქალაქო მოძრაობის თელავის ორგანიზაციის წევრი. პრობლემა კი, რომელზეც ნინო ლაპარაკობს, თელავის დიდ ნაწილს აწუხებს.

თითქმის ორი ათეული წელია, თელავი წყლით მარაგდება გრაფიკით, დღეში 2-3 საათით. ნინო მაღალსართულიან კორპუსში ცხოვრობს, მისი ონკანიდან წყალი დღეს დილის 6-დან 9 საათამდე მოდიოდა. ნინო ნუხს, რომ წყალმომარაგების კომპანია ამ გრაფიკსაც არ იცავს და უბანში წყალი ხშირად სხვადასხვა დროს მოდის.

***„24-საათიანი წყალმომარაგება კი არა, ნეტა, ერთი დრო ვიცოდეთ, როცა ონკანზე წყალს უნდა დაველოდოთ. მაშინ დავგეგმავთ საქმიანობას, რომელიც წყლის გარეშე წარმოუდგენელია. წყალმომარაგების კომპანია არ მუშაობს და ეს იმაშიც გამოიხატება, რომ რასაც აკეთებენ, ისიც არაეფექტურია. ახლა წინასაარჩევნოდ დაიწყეს ვითომ მუშაობა, მაგრამ უკვე არაფრის იმედი არ გვაქვს“.*

20 წლის წინანდელ დროს იხსენებს თელავის ცენტრში მცხოვრები მალხაზ არუდაშვილი. ამბობს, რომ მაშინ ქალაქს 24-საათიანი წყალმომარაგება ნამდვილად ჰქონდა, თუმცა იმ ხანებში ხალხს სულ სხვა პრობლემები აწუხებდა. მალხაზ არუდაშვილის თქმით, წყალი მთელი დღე რომ ქქონდეთ, ავზი წინასწარ უნდა გაავსონ, რომელიც, როგორც აღშონნდა, თითქმის ყველა თელავეველს აქვს და ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ნარმომადგენელთა არაერთი დაპირების შემდეგ, არუდაშვილს უკვე აღარ სჯერა, რომ კახეთის ცენტრად წოდებულ ქალაქს წყალი ოდესმე დღე-ღამის ნებისმიერ დროს ექნება.

InterPressNews 09.09.2020

Two projects on COVID-19 in Georgia worth the loans equivalent to 180 mln euros

Two loan agreement contracts between the government of Georgia and KFW Banking Group have changed. The letter sent to the parliament of Georgia clarifies about this. According to the letter, the two contracts originally were about Batumi municipal water infrastructure project [60 million euros] and Southern part of Samgori underground pipeline [150 million euros] and the money was supposed to be spent on those purposes. The letter clarified that 120 million euros out of 150 were reprogrammed and directed to COVID-19 results alleviation and will flow into the budget directly.
According to the new agreement, KFW Banking Group allocated 180 million euros of loans, which will span for 13 years.

Source:
https://www.bpn.ge/article/73106-romelia-ori-proekti-sakartveloshi-romlebze-gamoqopili-180-mln-evros-sesxic-kovid19-is-krizisze-daixarjeba

ეკონომიკა 09.09.2020 / 12:13

რომელია ორი პროექტი საქართველოში, რომლებზე გამოყოფილი 180 მლნ ევროს სესხიც „კოვიდ19-ის“ კრიზისზე დაიხარჯება

საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (kfw) შორის გამოფორმებული ორი სასესხო ხელშეკრულების მიზნობრიობა შეიცვალა.

ამის შესახებ პარლამენტში გადაგზავნილი წერილიდან ირკვევა.

კერძოდ, როგორც წერილშია აღნიშნული, საუბარია, ბანკთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, რომელიც შეეხება ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურისა (60მლნ ევრო) და სამგორის სამხრეთ ნაწილის მიწისქვეშა გაზის საცავის (150 მლნ ევრო) მოწყობისთვის გამოყოფილ სესხებს. აღსანიშნავია, რომ გაზსაცავისთვის გამოყოფილი 150 მლნ-დან 120 მლნ ევროს რეპროგრამირება მოხდა.

შესაბამისად, ეს თანხა „კოვიდ 19“-ის კრიზისის პერიოდში საქართველოს ფინანსური მხარდაჭერისთვის იქნება გამოყენებული და პირდაპირ მიიმართება ბიუჯეტში.

ახალი შეთანხმების თანახმად, კორონა კრიზისის პირობებში ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, kfw-მ გამოიყო 180 მლნ ევროს სესხი, რომლის ხანგრძლივობაც არის 13 წელი.

InterPressNews 10.09.2020

“Georgian Water and Power” makes announcement on damage of Didi Dighomi water network

The company announced that its working group is in place. “Today, on September 10, on Parnavazi Street N32, “Georgia Water and Power’s” pipeline network was damaged. Because of the damage, today, on September 10, from 10:00 AM to 21:00 PM water will be delivered with limits to these locations: King Mirian Street, King Parnavazi Street, 13 Asuretian Fathers’ Street, Marshal Gelovani Street, the so called ‘Bendukidze’ and ‘US Embassy’ neighbourhoods, blocks in Vashlijvari, Zemo Vedzisi, Vazisubani districts, part of Tashkenti Street, Gotua Street and others in line, part of Village Dighomi, Koshigora; all the streets in Didube District: 10, 11 and 12th blocks in first quarter of Dighomi massive; some part of Gldani District: Gr. Khanzteli Street, Skhvitori and Kaskadi streets. Georgian Water and Power will inform the subscribers about the recovery of water in advance, as soon as all the works are set, by sending them short text messages. Call to the hotline about details - 2 93 11 11 or contact us via company’s Facebook and websites - http://www.gwp.ge“, the statement says.

საზოგადოება 10.09.2020 / 11:36

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” დიდ დიღომში წყალსადენის ქსელის ავარიულად დაზიანების შესახებ განცხადებას ავრცელებს

“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” დიდ დიღომში კომპანიის წყალსადენის ქსელის ავარიულად დაზიანების შესახებ განცხადებას ავრცელებს. კომპანიის განცხადებით, ადგილზე კომპანიის სამუშაო ჯგუფებია მობილიზებული.„დღეს, 10 სექტემბერს, დიდ დიღომში, ფარნავაზ მეფის ქუჩა N32-თან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წყალსადენის ქსელი ავარიულად დაზიანდა. ადგილზე მობილიზებულია კომპანიის სამუშაო ჯგუფი და დაზიანების აღსადგენად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, დღეს, 10 სექტემბერს 10:00 საათიდან 21:00 საათამდე, წყალმომარაგება შეზღუდული ექნება:

საბურთალოს რაიონში: მირიან მეფის, ფარნავაზ მეფის, ცამეტი ასურელი მამის, მარშალ გელოვანის ქუჩებს, ბენდუქიძის და ამერიკის საელჩოს დასახლებებს, ვაშლიჯვრის დასახლების კორპუსებს, ზემო ვეძისის, ვაზისუბნის ქუჩებს, ტაშკენტის ქუჩის ნაწილს, გოთუას და მიმდებარე ქუჩებს. სოფელი დიღმის ნაწილს, ქოშიგორას; დიდუბის რაიონში: დიღმის მასივის I კვარტლის N10, 11, 12 კორპუსებს; გლდანის რაიონში: ზაჰესში გრ. ხანძთელის, სხვიტორის და კასკადის ქუჩებს.

წყალმომარაგების შეზღუდვისა და აღდგენის შესახებ ინფორმაციას, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი აბონენტებს წინასწარ, SMS-შეტყობინების სახით მიაწოდებს. დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია კომპანიის ცხელი ხაზის - 2 93 11 11, ფეისბუქისა და ვებგვერდის მეშვეობით - http://www.gwp.ge“,-აღნიშნულია განცხადებაში.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/617453-jorjian-uoter-end-paueri-did-digomshi-cqalsadenis-kselis-avariulad-dazianebis-shesaxeb-gancxadebas-avrcelebs

InterPressNews 10.09.2020

New water infrastructure was installed on Baghashvili and Guria Streets

“Georgian Water and Power” finished installation of water infrastructure in Gldani district of Tbilisi, on Baghashvili and Guria streets.

As “InterPressNews” was informed from the company, within this project 3 kilometers of water pipe was renewed and euro-standard water closure utility systems were installed.

For the stable water supply, a pump station was also set.

After the rehabilitation works, more than 400 subscribers of Avchala settlement will have a better water supply. GWP invested more than 270 000 GEL in this particular project.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/617454-bagashvilisa-da-guriis-kuchebze-cqalmomaragebis-axali-sistema-moecqo

iPn პოლიტიკა საგარეთალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხ

ბაღაშვილისა და გურიის ქუჩებზე წყალმომარაგების ახალი სისტემა მოეწყო

“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურმა” გლდანის რაიონში, ბაღაშვილისა და გურიის ქუჩებზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაასრულა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში კომპანიამ 3 კმ სიგრძის წყალსადენის ქსელი სრულად განაახლა და ევროსტანდარტის ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდულები დაამონტაჟა.

მოსახლეობის სტაბილური წყალმომარაგებისთვის ახალ ქსელზე სატუმბო სადგური მოეწყო.

სამუშაოების შედეგად ავჭალა 2-ის დასახლების 400-ზე მეტ აბონენტს წყალმომარაგება გაუუმჯობესდება.

პროექტში ჯივიპიმ 270 ათას ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა.

InterPressNews 13.09.2020

Water utility systems will be installed to supply Tetritskaro municipality two villages with water

To supply Tetritskaro municipality residents with non-stop water, intensive works are being carried out in the villages of Jorjiashvili and Boghvi. As a result of this work, 1 500 residents of two villages will get water for 24-hours. “InterPressNews” was informed about it from the Kvemo Kartli administrative entity. The works were financed from the budget allocated for the regions and it’s costs accounts for 2 466 323 GEL.

Central pipeline and local network were set, water meters were installed, water drainage, pump stations of the chlorination facilities and reservoirs were built. Shota Rekhviashvili, government representative in Kvemo Kartli, greeted the works taking place locally, with his deputy and other governing bodies of the region.

“We observe Jorjiashvili-Boghvi water infrastructure project the cost of which is 2 million and a half GEL, which entails installing pumping stations, chlorination facilities and a reservoir. It should serve 1 500 people and by the end of October residents will have good quality drinking water for 24 hours, which is a serious step forward for the local people,” - Rekhviashvili said.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/617980-tetricqaros-sasmeli-da-sarcqavi-clit-momaragebis-miznit-proektebi-xorcieldeba



რეგიონი 13.09.2020 / 15:24

თეთრიწყაროს სასმელი და სარწყავი წლით მომარაგების მიზნით პროექტები ხორციელდება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით, სოფელ ჯორჯიაშვილსა და ბოგვში პროექტი ხორციელდება, მიმდინარე მასშტაბური სამუშაოების შედეგად, ორი სოფლის 1500-მდე მცხოვრები 24 - საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. ამის შესახებ ,,ინტერპრესნიუსს" ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციიდან აცნობეს.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 2 466 323 ლარს შეადგენს, პროექტის ფარგლებში უკვე მოეწყო ცენტრალური მაგისტრალი და შიდა ქსელები, ასევე დამონტაჟდა მრიცხველები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს წყლის დრენაჟის, საქაჩი საქლორატორო ნაგებობების და რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სამუშაოების მიმდინარეობას, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი, მოადგილესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად გაეცნო.

„ჩვენ ახლა ჯორჯიაშვილი-ბოგვის მასშტაბური პროექტის მიმდინარეობას ვადევნებთ თვალს. ეს არის 2 მილიონ ნახევარი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სატუმბი სადგურების, საქლორატოროს და რეზერვუარების აშენებას. ეს 1500 ბენეფიციარზე გათვლილი პროექტია და ოქტომბრის ბოლოს მოსახლეობა ხარისხიან სასმელ წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სოფლისთვის", - განაცხადა შოთა რეხვიაშვილმა.

მათივე ინფორმაციით, მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებზე სარწყავი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად. საქართველოს სამელიორაციო კომპანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, ალგეთის წყალსაცავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.1 მილიონ ლარამდე ღირებულების პროექტი, წყლის დონის საზომი სისტემების, მეტეოროლოგიური სადგურის, ნაგავდამჭერის მოწყობას ასევე, ქვედა ბიეფში წყალსატარის სარქველების რემონტს, საცემენტაციო გვირაბის გაწმენდასა და დაშრობას ითვალისწინებს.

ცნობისთვის, 2020 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით კლიმატის ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა წყლის დებეტი, რის გამოც მოსახლეობას სარწყავი წყალი სპეციალურად შედგენილი გრაფიკით მიეწოდებოდა. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შედეგად კი, ქვემო ქართლში ათასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.